

იურული პერიოდის ზავროპოდის ნამარხი საქართველოში: Diplodocinae-ის აღმოჩენა
და მისი პალეოგეოგრაფიული მნიშვნელობა

დავით ბერულავა, ავთო ბუსხრიკიძე

dato.berulava038@ens.tsu.edu.ge

avto.buskhrikidze396@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი, საქართველო, 0186

მოხსენება შეეხება იურული პერიოდის ზავროპოდის ნამარხის (Diplodocinae) აღმოჩენას საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთის რეგიონში, მდინარე აფსტას კანიონში. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი მეცნიერული მოვლენა გახლავთ, რადგან აფართოებს Diplodocinae-ის ოჯახის დინოზავრების გეოგრაფიულ არეალს და მიუთითებს კავკასიის რეგიონის პალეობიოგეოგრაფიულ თავისებურებებზე. მოხსენებაში მიმოხილულია აღმოჩენილი ნამარხის მორფოლოგიური მახასიათებლები, ეკოსისტემური კონტექსტი, გარემოს პალეობიოლოგიური პირობები და დინოზავრების გავრცელების ჰიპოთეზები. განხილულია Diplodocinae-ისა და მტაცებელი თეროპოდის (Torvosaurus) ურთიერთქმედება, რაც გვიან იურული პერიოდის კავკასიური ეკოსისტემების შესახებ ახალ შეხედულებებს აყალიბებს. კვლევა ხაზს უსვამს საქართველოს რეგიონში პალეონტოლოგიური კვლევების გაგრძელების საჭიროებას და შესაძლო ახალი აღმოჩენების მნიშვნელობას.